



**საქართველო**  
**ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულო**  
**გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა** N 40 80

19/10/2018

**ხონის მუნიციპალიტეტში სოფ. დედალაურში ტუნგოების უბნის ქუჩისთვის მალხაზ აბაშიძის სახელის მინიჭების შესახებ**

2008 წლის აგვისტოს ომში გმირულად დაღუპული სოფ. დედალაურის მკვიდრის მალხაზ აბაშიძის სახელის უკვდავსაყოფად საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის "ა.ე" ქვეპუნქტის და „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის #239 დადგენილების მე-13 მუხლის საფუძველზე ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

**მუხლი 1.** ხონის მუნიციპალიტეტში სოფ. დედალაურში ე.წ. ტუნგოების უბანში არსებულ ქუჩას ეწოდოს 2008 წლის აგვისტოს ომში გმირულად დაღუპული ამავე სოფლის მკვიდრის მალხაზ აბაშიძის სახელი.

**მუხლი 2.** ხონის მუნიციპალიტეტის მერიამ სამართლებრივი აქტის მიღებიდან 4 თვის ვადაში უზრუნველყოს კონკრეტული ღონისძიებების გატარება (აბრების, ფირნიშების, ცნობარების დამზადება და გავრცელება).

**მუხლი 3.** ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით სამტრედიის რაიონულ სასამართლოში (მისამართი სამტრედია).

**მუხლი 4.** განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.  
ვალერი ბახტაძე

საკრებულოს თავმჯდომარე